

სახელმძღვანელო ინსტრუქცია

ცეტროტიდი 250 მკგ ფხვნილი და გამხსნელი საინექციო ხსნარისთვის კანქვეშ შეყვანისთვის.
სტერილური

• *აქტიური ნივთიერება:* თითოეული ფლაკონი შეიცავს 260-270 მკგ ცეტრორელიქსის აცეტატს, რაც 250 მკგ ცეტრორელიქსის აცეტატის ექვივალენტურია.

რეკომენდებული წესის მიხედვით აღდგენისას მიიღება მლ-ზე 250 მკგ აქტიური ნივთიერება.

• *დამხმარე ნივთიერებები:*
მანიტოლი, სტერილური საინექციო წყალი (გამხსნელი).

მედიკამენტის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- *შეინახეთ წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელო. შეიძლება დაგჭირდეთ ხელახლა წაკითხვა.*
- *დამატებითი შეკითხვებით გთხოვთ, მიმართოთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.*
- *ეს წამალი დაგენიშნათ პირადად თქვენ, არ მისცეთ ის სხვებს.*
- *ექიმთან ან საავადმყოფოში მისვლისას აცნობეთ თქვენს ექიმს, რომ ამ მედიკამენტს იყენებთ*
- *ზუსტად დაიცავით წინამდებარე ინსტრუქციაში მოცემული მითითებები. არ გამოიყენოთ მაღალი ან დაბალი დოზები, გარდა იმ დოზისა, რომელიც თქვენთვის არის რეკომენდებული.*

<u>წინამდებარე ინსტრუქციაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:</u>

1. რა არის ცეტროტიდი და რისთვის გამოიყენება იგი?
2. რა უნდა იცოდეთ ცეტროტიდის გამოყენებამდე
3. როგორ გამოვიყენოთ ცეტროტიდი?
4. რა არის შესაძლო გვერდითი მოვლენები?
5. ცეტროტიდის შენახვა

1. რა არის ცეტროტიდი და რისთვის გამოიყენება იგი

ცეტროტიდი 250 მკგ არის ფხვნილი საინექციო ხსნარისთვის. ხელმისაწვდომია 1 და 7 ფლაკონიიან შეფუთვაში. ფლაკონში მოთავსებული ფხვნილი არის თეთრი ფერის, ხოლო გამხსნელი (საინექციო წყალი) შპრიცში არის გამჭვირვალე და უფერო. გარდა ამისა, შეფუთვაშია;

• წინასწარ შევსებული შპრიცი, რომელიც შეიცავს გამხსნელს (საინექციო წყალი) ფხვნილის გასახსნელად ფლაკონში და პარენტერალური გამოყენებისთვის
• ყვითლად მონიშნული საინექციო ნემსი ფლაკონში წყლის შესაყვანად და ხსნარის ფლაკონიდან ამოღების მიზნით.
• საინექციო ნემსი ნაცრისფერი ნიშნით ხსნარის შესაყვანად
• ორი სპირტიანი ბამბა გასაწმენდად

ცეტროტიდი შეიცავს წამალს, რომელსაც ეწოდება ცეტრორელიქსი. ეს წამალი აჩერებს კვერცხუჯრედის (ოვულაციის) გამოყოფას საკვერცხედან მენსტრუაციის პერიოდში. ცეტროტიდი მიეკუთვნება მედიკამენტების ჯგუფს, რომელსაც ეწოდება "ანტი-გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონები".

ცეტროტიდი ბლოკავს ბუნებრივი ჰორმონის ზემოქმედებას, რომელსაც ეწოდება ლუტეინირების ჰორმონის გამომყოფი ჰორმონი (LHRH). LHRH არეგულირებს სხვა ჰორმონის სეკრეციას, რომელსაც ეწოდება ლუტეინირების ჰორმონი (LH), რომელიც ზრდის ოვულაციას მენსტრუაციის პერიოდში. ვინაიდან მხოლოდ მომწიფებული კვერცხუჯრედია ვარგისი განაყოფიერებისთვის, ცეტროტიდი გამოიყენება ნაადრევი ოვულაციის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება მოხდეს საკვერცხეების სტიმულაციის მკურნალობის დროს.

ცეტროტიდი გამოიყენება მოუმწიფებელი ოვულაციის თავიდან ასაცილებლად პაციენტებში, რომლებიც გადიან კვერცხუჯრედის აღდგენის და დამხმარე რეპროდუქციის ტექნოლოგიებს საკვერცხეების კონტროლირებადი სტიმულაციის შემდეგ.

ცეტროტიდი გამოიყენება ადამიანის მენოპაუზის გონადოტროპინთან (HMG) კომბინაციაში კლინიკურ კვლევებში. თუმცა, მსგავსი ეფექტები დაფიქსირდა სხვა პოსტმარკეტინგული ჰორმონის, რეკომბინანტული ფოლიკულის მასტიმულირებელი ჰორმონის (FSH) შეზღუდული გამოყენების შემდეგ.

2. რა უნდა იცოდეთ ცეტროტიდის გამოყენებამდე არ გამოიყენოთ ცეტროტიდი შემდეგ სიტუაციებში

• თუ ალერგიული ხართ ცეტრორელიქსის ან ეგზოგენური პეპტიდური ჰორმონების (ცეტროტიდის მსგავსი მედიკამენტების) ან რომელიმე დამხმარე ნივთიერების მიმართ,
• თუ ხართ ორსულად ან ძუძუთი კვებავთ,
• თუ გაქვთ თირკმლის მძიმე უკმარისობა.
არ გამოიყენოთ ცეტროტიდი, თუ რომელიმე ეს მოვლენა აღგენიშნებათ. თუ არ ხართ დარწმუნებული, გაესაუბრეთ ექიმს პრეპარატის გამოყენებამდე.

ცეტროტიდი სიფრთხილით გამოიყენება შემდეგ სიტუაციებში
ალერგიული პირობები
განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული ქალებში, რომლებსაც აქვთ ალერგიული მიდრეკილების ანამნეზი ან აქტიური ალერგიული მდგომარეობის სიმპტომები. ამგვარი მდგომარეობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია აცნობოთ ექიმს.

საკვერცხის გადაჭარბებული სტიმულაციის სინდრომი (OHSS)
ცეტროტიდი გამოიყენება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად, რომლებიც ასტიმულირებენ საკვერცხეებს, რათა გამოიმუშაონ მეტი კვერცხუჯრედი, რომელიც მზად არის გასათავისუფლებლად. შეიძლება განვითარდეს OHSS ამ პრეპარატების მიღების დროს ან მის შემდეგ. ეს ხდება მაშინ, როდესაც ფოლიკულები ძალიან იზრდება და გადაიქცევა დიდ ცისტებად.

შესაძლო სიმპტომებისთვის, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ, იხილეთ თავი 4 "რა არის შესაძლო გვერდითი მოვლენები?"

ცეტროტიდის გამოყენება ერთზე მეტი მკურნალობის ციკლისთვის
ცეტროტიდის გამოყენების მცირე გამოცდილება არსებობს ერთზე მეტი მკურნალობის ციკლისთვის. თუ გჭირდებათ ცეტროტიდის გამოყენება ერთზე მეტი მკურნალობის ციკლისთვის, ექიმი ყურადღებით განიხილავს თქვენთვის სარგებელსა და რისკს.

თუ ეს მოვლენები აღგენიშნებათ ან აღგენიშნებოდათ თუნდაც წარსულში ნებისმიერ დროს, გთხოვთ, მიმართოთ ექიმს.

ორსულობა
მედიკამენტის გამოყენებამდე მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
არ გამოიყენოთ ცეტროტიდი, თუ უკვე ორსულად ხართ, ან გაქვთ ეჭვი ორსულობაზე.
თუ მკურნალობის დროს მიხვდებით, რომ ორსულად ხართ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ძუძუთი კვება
მედიკამენტის გამოყენებამდე მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
ცეტროტიდი არ უნდა გამოიყენოთ ძუძუთი კვების დროს.

ავტომანქანებისა და მექანიზმების გამოყენება
მოსალოდნელია, რომ ცეტროტიდი არ იმოქმედებს ავტომობილის მართვისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ცეტროტიდის ზოგიერთი ინგრედიენტის შესახებ
არ არსებობს დამხმარე ნივთიერება, რომელიც საჭიროებს გაფრთხილებას.

სხვა პრეპარატებთან ერთად გამოყენება
ცეტრორელიქსთან წამლისა და წამლის ურთიერთქმედების ოფიციალური კვლევები არ ჩატარებულა.
ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ღვიძლის მიერ დაშლილ წამლებთან ურთიერთქმედება ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მტკიცებულება წამლის ურთიერთქმედების შესახებ ხშირად გამოყენებულ სამკურნალო საშუალებებთან, გონადოტროპინებთან ან ჰისტამინის მასტიმულირებელ საშუალებებთან, ურთიერთქმედების შესაძლებლობა არ შეიძლება მთლიანად გამოვრიცხოთ.

თუ ამჟამად იყენებთ ან ცოტა ხნის წინ იყენებდით რაიმე რეცეპტით ან ურეცეპტოდ გაცემულ წამალს, გთხოვთ აცნობოთ ექიმს ან ფარმაცევტს ამის შესახებ.

3. როგორ გამოვიყენოთ ცეტროტიდი?

სათანადო გამოყენების ინსტრუქცია და დოზა / მიღების სიხშირე:
ყოველთვის გამოიყენეთ ცეტროტიდი ზუსტად ისე, როგორც ექიმმა გითხრათ. თუ არ ხართ დარწმუნებული, უნდა მიმართოთ ექიმს. თუ ექიმის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, ცეტროტიდის მიღება ხდება შემდეგნაირად. გთხოვთ, მიჰყვეთ გამოყენების ინსტრუქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებთ ცეტროტიდის სრულ სარგებელს.

ერთი ფლაკონის შიგთავსი (250 მკგ ცეტრორელიქსი) შეჰყავთ დღეში ერთხელ, დილით ან საღამოს, 24-საათიანი ინტერვალით. პირველი შეყვანის შემდეგ რეკომენდებულია ექიმის მეთვალყურეობა 30 წუთის განმავლობაში, რათა გამოირიცხოს ჰიპერმგრძნობელობა (ალერგიული/ფსევდოალერგიული რეაქცია) ინექციის მიმართ.

დილის მიღება: ცეტროტიდით მკურნალობა უნდა დაიწყოს საკვერცხეების სტიმულაციის მე-5 ან მე-6 დღეს (საკვერცხეების სტიმულაციის დაწყებიდან 96-120 საათის შემდეგ) შარდის ან რეკომბინანტული გონადოტროპინით და გაგრძელდეს გონადოტროპინით თერაპიის განმავლობაში, საკვერცხეების სტიმულაციის დღის ჩათვლით. საკვერცხის პასუხიდან გამომდინარე, ექიმმა შეიძლება გადაწყვიტოს მკურნალობის დაწყება სხვა დღეს.

საღამოს მიღება: ცეტროტიდით მკურნალობა უნდა დაიწყოს საკვერცხეების სტიმულაციის მე-5 დღეს (საკვერცხის სტიმულაციის დაწყებიდან 96-108 საათის შემდეგ) შარდის ან რეკომბინანტულ გონადოტროპინთან ერთად და საკვერცხის სტიმულაციის დღის წინა ღამემდე.

უნდა გაგრძელდეს გონადოტროპინით თერაპიის განმავლობაში. საკვერცხის პასუხიდან გამომდინარე, ექიმმა შეიძლება გადაწყვიტოს მკურნალობის დაწყება სხვა დღეს.

მიღების გზა და მეთოდი:
ცეტროტიდი შეჰყავთ კანქვეშ ინექციით. განკუთვნილია მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისთვის.
ინექციის ადგილის რეაქციები შეიძლება შემცირდეს პროდუქტის ნელი ტემპით ინექციით, რათა ხელი შეუწყოს პროდუქტის სწრაფ შეწოვას.

ცეტროტიდის პირველი შეყვანა უნდა მოხდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და იმ პირობებში, სადაც შესაძლებელია ჰიპერმგრძნობელობის შესაძლო გამოვლინების მკურნალობა (ალერგიული/ფსევდოალერგიული რეაქციები (სიცოცხლისთვის საშიში ალერგიული შოკის (ანაფილაქსიის) ჩათვლით). თუ პაციენტს ეცნობა ჰიპერმგრძნობელობის რეაქციის შედეგად გამოწვეული სიმპტომებისა და ნიშნების შესახებ და პაციენტს ესმის, რომ ეს მოვლენები საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, შემდგომი ინექციები შეიძლება გაკეთდეს თავად პაციენტის მიერ.

ცეტროტიდი შეჰყავთ მუცლის ქვედა კედლის კანის ქვეშ, სასურველია ჭიპის გარშემო. ინექციის ადგილი ყოველდღიურად უნდა შეიცვალოს ადგილობრივი გაღიზიანების შესამცირებლად.

ცეტროტიდი უნდა აღდგეს მხოლოდ გამხსნელთან ერთად მიწოდებულ წინასწარ შევსებულ შპრიცში. ცეტროტიდი არ უნდა იქნას გამოყენებული, თუ ხსნარი არ არის გამჭვირვალე ან შეიცავს ნაწილაკებს.

პაციენტის მიერ ცეტროტიდის დამოუკიდებლად შეყვანამდე, გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები სათაურით "ცეტროტიდის შერევა და ინექცია".

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი:
• ბავშვებში გამოყენება:
არ გამოიყენება ბავშვებში.

• ხანდაზმულებში გამოყენება:
არ გამოიყენება ხანდაზმულებში.

სპეციალური გამოყენების შემთხვევები:
• თირკმლის უკმარისობა:
თუ გაქვთ თირკმლის დაავადება, აცნობეთ ექიმს ცეტროტიდის გამოყენებამდე. ცეტროტიდი არ არის შესწავლილი თირკმლის დაავადების მქონე ადამიანებში.

• ღვიძლის უკმარისობა:
თუ გაქვთ ღვიძლის დაავადება, აცნობეთ ექიმს ცეტროტიდის გამოყენებამდე. ცეტროტიდი არ არის შესწავლილი ღვიძლის დაავადების მქონე ადამიანებში.

თუ ფიქრობთ, რომ ცეტროტიდის ეფექტი ძალიან ძლიერია ან ძალიან სუსტი, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ იყენებთ იმაზე მეტ ცეტროტიდს, ვიდრე საჭიროა:
თუ საჭიროზე მეტი ცეტროტიდი მიიღეთ, გაესაუბრეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ცუდი ეფექტი არ არის მოსალოდნელი, თუ შემთხვევით გააკეთეთ მითითებულზე მეტი ინექცია. ამ შემთხვევაში პრეპარატის ეფექტი უფრო დიდხანს გაგრძელდება. როგორც წესი, განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის საჭირო.

მწვავე (სწრაფად პროგრესირებადი) ტოქსიკურობის კვლევებში მღრღნელებში, არასპეციფიკური ტოქსიკური გამოვლინებები დაფიქსირდა ცეტრორელიქსის ინტრაპერიტონეალური მიღების შემდეგ 200-ჯერ მეტი ფარმაკოლოგიურად ეფექტურ კანქვეშა დოზაზე.

თუ დაგავიწყდათ ცეტროტიდის გამოყენება:
არ მიიღოთ ორმაგი დოზა გამოტოვებული დოზების ასანაზღაურებლად, გთხოვთ მიმართოთ ექიმს.

იდეალურ შემთხვევაში, ცეტროტიდი უნდა დაინიშნოს 24-საათიანი ინტერვალით. მაგრამ თუ დაგავიწყდათ ცეტროტიდის გამოყენება განსაზღვრულ დროს,

შეგიძლიათ მიმართოთ ექიმს, როცა გაგახსენდებათ და გამოიყენოთ იგი იმავე დღეს სხვა დროს.

თუ გაქვთ დამატებითი შეკითხვები მედიკამენტის გამოყენებასთან დაკავშირებით, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ეფექტები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ცეტროტიდით მკურნალობის შეწყვეტისას
მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.

4. რა არის შესაძლო გვერდითი მოვლენები?

ყველა მედიკამენტის მსგავსად, ცეტროტიდის კომპონენტების მიმართ მგრძნობიარე ადამიანებში შეიძლება განვითარდეს გვერდითი მოვლენები.

შესაძლო გვერდითი ეფექტები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად:
ძალიან ხშირი: შეიძლება მოხდეს 10-დან 1 პაციენტში მაინც.
ხშირი: 1-ზე ნაკლები 10 პაციენტიდან, მაგრამ 1-ზე მეტი 100 პაციენტში.
ნაკლებად ხშირი: 1-ზე ნაკლები 100 პაციენტში, მაგრამ 1-ზე მეტი 1000 პაციენტში.
იშვიათი: 1-ზე ნაკლები 1000 პაციენტში, მაგრამ 1-ზე მეტი 10000 პაციენტში.
ძალიან იშვიათი: 1-ზე ნაკლები 10000 პაციენტიდან.
უცნობია: არ შეიძლება შეფასდეს არსებული მონაცემებით.

თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მოვლენა განგივითარდათ, შეწყვიტეთ ცეტროტიდის გამოყენება და დაუყოვნებლივ აცნობეთ ექიმს ან მიმართეთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას:

ალერგიული რეაქციები
• სიცხე, გამონაყარი, კანის ქავილი (ყველაზე ხშირად საზარდულისა და იღლიის არეში), სიწითლე, ქავილი, ჭინჭრის ციება, ცხვირიდან გამონადენი, სწრაფი ან არარეგულარული პულსი, ენისა და ყელის შეშუპება, ცემინება, ხიხინი ან სუნთქვის ძლიერი გაძნელება ან თავის შებრუნების გაძნელენა. შეიძლება გქონდეთ პოტენციურად სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში ალერგიული რეაქცია წამალზე. თუმცა, ეს არ არის ფართოდ გავრცელებული.
თუ შეამჩნევთ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ გვერდით მოვლენას, შეწყვიტეთ ცეტროტიდის გამოყენება და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.
ეს ყველაფერი ძალიან სერიოზული გვერდითი მოვლენებია. თუ თქვენ გაქვთ თუნცად ერთი ასეთი ეფექტი, ეს ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ სერიოზული ალერგია ცეტროტიდის მიმართ. შეიძლება დაგჭირდეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება ან ჰოსპიტალიზაცია.

თუ შეამჩნევთ რომელიმე ჩამოთვლილთაგანს, დაუყოვნებლივ აცნობეთ ექიმს ან მიმართეთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას:

საკვერცხის გადაჭარბებული სტიმულაციის სინდრომი (OHSS)
ეს სინდრომი შეიძლება აღინიშნოს სხვა მედიკამენტების გამო, რომლებსაც იყენებთ

თქვენი საკვერცხეების სტიმულირებისთვის.
• ქვედა მუცლის ტკივილი და თანმხლები გულისრევა ან ღებინება შეიძლება იყოს OHSS-ის სიმპტომები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საკვერცხეები ზედმეტად რეაგირებენ მკურნალობაზე და რომ საკვერცხის დიდი ცისტები განვითარდა. ეს მდგომარეობა ხშირია.
• OHSS შეიძლება გამწვავდეს აშკარად გადიდებული საკვერცხეების, შარდის გამომუშავების დაქვეითების, წონის მომატების, სუნთქვის გაძნელების ან მკერდისა და კუჭის სითხის გამო. თუმცა, ეს არ არის ფართოდ გავრცელებული.

თუ შეამჩნევთ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ გვერდით მოვლენას, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

სხვა ხშირი გვერდითი მოვლენები:
• კანის მსუბუქი და ხანმოკლე გაღიზიანება, როგორიცაა სიწითლე, ქავილი და შეშუპება ინექციის ადგილზე

ნაკლებად ხშირი:
• ავადმყოფობის შეგრძნება (გულისრევა)
• თავის ტკივილი

გვერდითი ეფექტების მოხსენება
აცნობეთ ექიმს, ფარმაცევტს ან მედდას ნებისმიერი გვერდითი მოვლენის შემთხვევაში, რომელიც მითითებულია ან არ არის მითითებული წინამდებარე ინსტრუქციაში. ასევე, შეატყობინეთ თურქეთის ფარმაკოვიგილანციის ცენტრს (TÜFAM) გვერდითი ეფექტების შესახებ, დააწკაპუნეთ ბმულზე „წამლის გვერდითი ეფექტების შესახებ შეტყობინება“ www.titck.gov.tr –ზე ან დარეკეთ გვერდითი ეფექტების მოხსენების ხაზზე 0 800 314 00. 08. წარმოქმნილი გვერდითი ეფექტების შეტყობინებით, თქვენ წვლილს შეიტანთ მეტი ინფორმაციის მიღებაში იმ წამლის უსაფრთხოების შესახებ, რომელსაც იყენებთ.

თუ გაქვთ რაიმე გვერდითი მოვლენა, რომელიც არ არის აღნიშნული წინამდებარე ინსტრუქციაში, აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

5. ცეტროტიდის შენახვა

შეინახეთ ცეტროტიდი ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას მისსავე შეფუთვაში.

შეინახეთ გაუხსნელი ცეტროტიდი მაცივარში 2°C - 8°C ტემპერატურაზე. ამ გზით შენახვისას პროდუქტის შენახვის ვადა 24 თვეა. არ გაყინოთ და არ მოათავსოთ მაცივრის ან ყინულის უჯრის საყინულე განყოფილებასთან ახლოს.

მეორეს მხრივ, გაუხსნელი პროდუქტის შენახვა შესაძლებელია ორიგინალ შეფუთვაში 30°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე სამ თვემდე ვადით.

ხსნარი უნდა იქნას გამოყენებული მომზადებისთანავე. ინახება ორიგინალურ შეფუთვაში სინათლისგან დასაცავად.

გამოიყენეთ ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.

არ გამოიყენოთ ცეტროტიდი შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. ვარგისიანობის ვადა გულისხმობს მითითებული თვის ბოლო დღეს.

ვარგისიანობის ვადა მითითებულია მუყაოს კოლოფზე, ფლაკონზე და შპრიცზე.

არ გამოიყენოთ წამალი, თუ შეამჩნევთ, რომ ბოთლში თეთრი ფხვნილის იერსახე შეიცვალა. არ გამოიყენოთ ხსნარი, თუ მომზადებული ხსნარი არ არის გამჭვირვალე და უფერო ან მასში ნაწილაკებია.

არ გადააგდოთ ვადაგასული ან გამოუყენებელი მედიკამენტები! გადაეცით გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ნარჩენების მართვის სისტემას.

ლიცენზიის მფლობელი:
Merck Pharmaceuticals and Chemicals Trade Inc. ათაშეჰირი/სტამბოლი

წარმოების ადგილი:
Pierre Fabre Medicament Production Aquitaine Pharm International Idron/ საფრანგეთი

ცეტროტიდის შერევა და ინექცია

- ამ პუნქტში აღწერილია, თუ როგორ უნდა შეურიოთ ფხვნილი და სტერილური წყალი (გამხსნელი) და შეიყვანოთ წამალი.
- სანამ წამლის გამოყენებას დაიწყებთ, გთხოვთ, თანმიმდევრულად წაიკითხოთ ქვემოთ მოცემული ყველა ინსტრუქცია.
- ეს წამალი მხოლოდ თქვენთვისაა – არავის მისცეთ უფლება გამოიყენოს იგი.
- გამოიყენეთ თითოეული ნემსი, ფლაკონი და შპრიცი მხოლოდ ერთხელ.

სანამ დაიწყებთ შერევას

1. ინექციის წინ წამალი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურაზე. გამოყენებამდე დაახლოებით 30 წუთით ადრე გამოიღეთ მაცივრიდან.

2. დაიბანეთ ხელები.
   - მნიშვნელოვანია, რომ ხელები და ნივთები, რომლებსაც იყენებთ, მაქსიმალურად სუფთა იყოს.


3. მოათავსეთ სუფთა ადგილას ყველაფერი, რაც გჭირდებათ.
   - ერთი ფხვნილის ფლაკონი
   - ერთი წინასწარ შევსებული შპრიცი, რომელიც შეიცავს სტერილურ წყალს (გამხსნელს)
   - ერთი ყვითელი მონიშნული ნემსი - ფლაკონში სტერილური წყლის შესაყვანად და ფლაკონში წარმოქმნილი წამლის ამოსაღებად.
   - ერთი ნაცრისფერი მონიშნული ნემსი - მუცლის ღრუში წამლის შესაყვანად.
   - ორი ცალი სპირტით გაჟღენთილი ბამბა

პრეპარატის მოსამზადებლად ფხვნილისა და წყლის შერევა

1. მოხსენით ფლაკონის თავსახური.
   - ბოლოში აქვს რეზინის საცობი – დატოვეთ ფლაკონში.
   - გაწმინდეთ რეზინის საცობი და ლითონის რგოლი სპირტის ტამპონით.

2. წინასწარ შევსებული შპრიციდან წყლის დამატება ფხვნილის შემცველ ფლაკონში:
   - გახსენით ყვითელი მონიშნული ნემსი.
   - მოხსენით წინასწარ შევსებული შპრიცის თავსახური და ჩადეთ ყვითელი ნემსი. ამოიღეთ ნემსის საფარი.
   - გადაიტანეთ ყვითელი ნემსი ფლაკონის რეზინის საცობის ცენტრში.

- შეიყვანეთ წყალი ფლაკონში შპრიცის დგუშის ნელა დაჭერით. არ გამოიყენოთ სხვა ტიპის წყალი.
- შპრიცი დატოვეთ რეზინის საცობში.



3. ფხვნილისა და წყლის შერევა ფლაკონში

ა.შპრიცი და ფლაკონი ფრთხილად დაიჭირეთ, გამოიყენეთ ფრთხილი წრიული მოძრაობები ფხვნილისა და წყლის შერევისთვის. შერევისას ხსნარი უნდა იყოს გამჭვირვალე და არ უნდა შეიცავდეს ნაწილაკებს.
ბ. არ შეანჯღრიოთ წამალი და არ შექმნათ ბუშტები.

4. შპრიცის შევსება მედიკამენტით ფლაკონში

ა. გადაატრიალეთ ფლაკონი. შემდეგ ფრთხილად დააბრუნეთ დგუში, რათა წამალი ფლაკონიდან შპრიცში ჩაუშვათ. დგუში მთლიანად არ ამოწიოთ. გადააგდეთ დოზა და მოამზადეთ ახალი დოზა (დაიწყეთ ხელახლა 1-ლი საფეხურიდან), რადგან სტერილურობა დაქვეითდება, თუ შემთხვევით ამოიღებთ დგუშის სახურავს და დგუშს.
ბ. თუ ფლაკონში დარჩა რაიმე წამალი, ამოიღეთ ყვითელი ნემსი მანამ, სანამ ნემსის წვერი არ მოხვდება რეზინის სახურავში. თუ საცობის ჭრილიდან შეხედავთ, შეგიძლიათ აკონტროლოთ ნემსისა და სითხის მოძრაობა.
გ. დარწმუნდით, რომ ამოიღეთ ფლაკონში არსებული მთელი წამალი.



დ. დააბრუნეთ თავსახური ყვითელ ნიშნულზე. ამოიღეთ ყვითელი ნემსი შპრიციდან და გადადეთ შპრიცი გვერდზე.


ინექციის ადგილის მომზადება და წამლის ინექცია

1. ბუშტების მოცილება

- ამოიღეთ ნაცრისფერი მონიშნული ნემსი. მიამაგრეთ ნაცრისფერი ნემსი შპრიცზე და მოხსენით თავსახური ნაცრისფერი ნემსიდან.
- დაიჭირეთ შპრიცი ნაცრისფერი ნემსით ზემოთ და შეამოწმეთ ჰაერის ბუშტები.
- ჰაერის ბუშტების მოსაშორებლად, მსუბუქად შეეხეთ შპრიცს, სანამ მთელი ჰაერი ზემოთ არ შეგროვდება. შემდეგ ნაზად დააწექით დგუშს,

სანამ ჰაერის ბუშტები არ გაქრება.

- არ შეეხოთ ნაცრისფერ ნემსს და არ დაუშვათ ნემსის რაიმე ზედაპირთან შეხება.




5. ინექციის ადგილის გაწმენდა

- აირჩიეთ ინექციის ადგილი მუცელში. საუკეთესო ადგილია ჭიპის ცენტრის ირგვლივ. ყოველდღე აირჩიეთ მუცელზე სხვადასხვა ადგილი კანის გაღიზიანების შესამცირებლად.
- გაიწმინდეთ კანი ინექციის არჩეულ ადგილას მეორე სპირტიანი ბამბით წრიული მოძრაობით.

6. კანის დაჭერა

- შპრიცი ერთ ხელში ისე დაიჭირეთ, თითქოს ფანქარი გეჭიროთ.
- მსუბუქად შეიზილეთ ის ადგილი, სადაც ინექციის გაკეთებას აპირებთ და მეორე ხელით მაგრად დაიჭირეთ.
- ნელა ჩუშვით ნაცრისფერი ნემსი მთლიანად კანში დაახლოებით 45-დან 90 გრადუსამდე კუთხით. კანს ხელი არ გაუშვათ.



7. წამლის ინექცია

- ნელა ამოწიეთ შპრიცის დგუში. თუ სისხლი გამოჩნდება, გააგრძელეთ როგორც აღწერილია ქვემოთ მე-5 საფეხურში.
- თუ სისხლი არ ჩანს, ნელა შეიყვანეთ წამალი დგუშის ოდნავ წინ დაჭერით.
- როდესაც შპრიცი დაცარიელდება, ამოიღეთ ნაცრისფერი ნემსი იმავე კუთხით.
- მეორე სპირტის ტამპონის გამოყენებით მსუბუქად დააჭირეთ ინექციის ადგილზე.

8. თუ სისხლი გამოჩნდება

- ნაცრისფერი ნემსი იმავე კუთხით უკან გაიწიეთ.
- მეორე სპირტიანი ბამბის ტამპონის გამოყენებით მსუბუქად დააჭირეთ კანის ნაწილზე.

- ჩაასხით წამალი ნიჟარაში და გააგრძელეთ როგორც აღწერილია ქვემოთ მე-6 საფეხურში.
- დაიბანეთ ხელები და თავიდან დაიწყეთ ახალი ფლაკონით და წინასწარ შევსებული შპრიცით.

9. განადგურება

- გამოიყენეთ თითოეული შპრიცი, ნემსი და ფლაკონი მხოლოდ ერთხელ.
- ნემსებს მოარგეთ ხუფი უსაფრთხო განადგურებისთვის.
- ჰკითხეთ ფარმაცევტს, თუ როგორ გადააგდოთ უსაფრთხოდ გამოყენებული ფლაკონები, ნემსები და შპრიცები.